ᲛᲠᲝᲚᲔᲗᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 173 (19914) ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲓᲦᲔ

ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ. 27 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). **ᲘᲣᲠᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲔᲜᲙᲝᲡ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲚᲐᲕᲔᲠᲘᲙᲘᲜᲘᲡ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲔᲜᲙᲝᲡ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲰᲐᲛᲔᲓ ᲤᲐᲠᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲗ 9 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.**

დღეს ეკიპაჟმა შეასრულა სირიის არაბთა რესპუბლიკის ტერიტორიის ფოტოგადაღებებისა და სპექტრომეტრირების კიდევ ერთი სერია. ამ სამუშაოთა დროს მიღებულ ინფორმაციას გამოიყენებენ ქვეყნის მეცნიერებისა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგში.

სამედიცინო კონტროლის გეგმით წვევის ექსპედიციის ეკიპაჟმა მოაწყო ექსპერიმენტი „ბალისტო“, რომლის დროს განისაზღვრა გულ-სისხლძარღვთა სისტემის პარამეტრები კოსმოსური ფრენის პირობებში.

გრძელდება ბიოტექნოლოგიური ექსპერიმენტები „სვეტლანასა“ და „ნაკადულის“ დანადგარებზე. „ნაკადულის“ დანადგარის განმასხვავებელი თავისებურებაა უფრო დიდი მწვანეულობა, რომელსაც იმ გზით აღწევენ, რომ საწყისი ნივთიერებების ელექტროფორეზული წმენდის პროცესი ხორციელდება მოძრაკი სითხის ფენაში.

„კრისტალიზატორის“ აპარატურაზე აპირებენ შეასრულონ ტექნოლოგიური ექსპერიმენტი „აფამია“. მისი მიზანია ნახევარგამტარი მასალის გალიუმსტიბიდის გაუმჯობესებული მახასიათებლებიანი მონოკრისტალების მიღება მიკროგრავიტაციის პირობებში.

სამუშაო დღის დამლევს მოეწყობა საერთაშორისო ეკიპაჟის საბორტო პრესკონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, რომლებიც ამ ფრენას აშუქებენ.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით და ორბიტიდან მიღებული მოხსენებებით, „მირ“ სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

განუხრელად გავზარდოთ თანამედროვე ტექნიკის გამოშვება

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

24 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს, თუ როგორ სრულდება სამამული მანქანათმშენებლობის მოდერნიზაციის პროგრამა პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ლ. ნ. ზაიკოვი, ვ. პ. ნიკონოვი, ნ. ნ. სლიუნკოვი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ნ. ვ. ტალიზინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. ბირიუკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ს. მორაზოვსკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ლ. ა. ვორონინი, ი. ს. სილაევი და ბ. ლ. ტოლსტიხი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გ. ი. მარჩუკი.

თათბირზე მოიწვიეს მანქანათმშენებლობის სამინისტროებისა და ცენტრალური ეკონომიკური ორგანოების ხელმძღვანელები, მეცნიერები და სპეციალისტები, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირი გახსნა მ. ს. გორბაჩოვმა. გარდაქმნის პროცესები, თქვა მან, ღრმად ეხება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, დინამიკურად წარიმართა ისინი ეკონომიკის სფეროშიც. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა, მისმა გადაწყვეტილებებმა ჩამოყალიბებულია თეორიულად ღრმად გააზრებული პასუხი იმ კითხვებსა და პრობლემებზე, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების დროს მომწიფდა, დაწერილებით არის დაკონკრეტებული ჩვენი ეკონომიკის შემდგომი რეორგანიზაციის, სამეურნეო-პოლიტიკური საქმიანობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების შეცვლის გზები.

პლენუმმა განსაზღვრა არა მარტო ის, თუ რა ვაკეთოთ, არამედ ისიც, თუ როგორ გარდაქმნათ სახალხო მეურნეობის მთელი სისტემა, როგორ შევასრულოთ პარტიის მიერ დასახული ურთულესი ამოცანები. საჭიროა კიდევ და კიდევ ერთხელ, როგორც იტყვიან, ფანქრით ხელში დავუბრუნდეთ პლენუმის მასალებს, მიმდინარე ხუთწლედის დამლევამდე საბოლოოდ დავზეგწოთ მეურნეობრიობის ახალი პრინციპები, ხოლო მეცამეტე ხუთწლედის დამდეგიდან მთლიანად გადავიდეთ ახალ პირობებში მუშაობაზე.

პლენუმის მონაწილეებმა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის-პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების უპირველესი ღონისძიებების გეგმა. მისი რეალიზაცია თითოეული კომუნისტის, თითოეული ხელმძღვანელისაგან მოითხოვს სიმტკიცეს, შეუპოვრობას, შემოქმედებით საზრიანობასა და პრინციპულობას. ნაკლები ზერელეობა და ლიტონი აკადემიზმი, მეტი გაბედული პრაქტიკული ინიციატივა, ის, რაც სოციალიზმს საქმით განამტკიცებს!

სასურველია, რომ სწორედ ასეთი შემტევი სულისკვეთება და კონსტრუქციული მიდგომა ახასიათებდეს მსჯელობას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დღევანდელ პლენუმზე.

I.

ᲡᲐᲜᲐᲛ პრაქტიკულ ნაბიჯებზე ვლაპარაკებდეთ, შევეცდებით ერთხელ კიდევ მოკლედ დავაზუსტოთ, რა პირობებში იწყებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა გადასვლას ორგანიზაციისა და მართვის ახალ რელსებზე.

პოზიტიურ ფაქტორად შეგვიძლია დავასახელოთ მრავალრიცხოვანი ეკონომიკური ექსპერიმენტები, რომლებიც ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკის მთელ რიგ რეგიონებში მოეწყო. უდავოა, რომ მათი შეშვებიანი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო კადრების ძირითად მასას გარკვეული ორგანიზაციული ჩვევები გამოუმუშავდა, ამ ექსპერიმენტებმა გაუღვიძა მათ ეკონომიკური აზროვნება, დააძლევინა ფსიქოლოგიური ბარიერები, სიახლის შიში. უკვე 1985 წლიდან ახალი სამეურნეო მექანიზმის ზოგიერთი ელემენტი 50-ზე მეტ სამრეწველო საწარმოში დაინერგა. მოხდა საგრძნობი ცვლილებები აგროსამრეწველო და სამშენებლო კომპლექსის ტერიტორიულ მეურნეობის მართვაში. ეს ცვლილებები რესპუბლიკური რგოლსაც შეეხო. გარდა ამისა, საკავშირო დაქვმდებარების 12 საწარმო, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, ხოლო წლის მეორე ნახევრიდან ვაჭრობის სამინისტრო ცეკავშირიც თვითნაზღაურებისა და თვითდაფინანსების პირობებში მუშაობაზე გადავიდნენ.

ბევრი საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტაში დიდი როლი შეასრულა რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ი. კ. ლიგაჩოვის ჩამოსვლამ. იაგორ კუზმას ძე ჩაწვდა მრავალ პრობლემას, მან გამოთქვა საგულისხმო რეკომენდაციები, მოსკოვში ჩასვლისას კი საჭირო განკარგულებები მისცა შესაბამის ორგანოებს. ჩვენთან იყვნენ მთელი რიგი საკავშირო მინისტრებიც, რომლებმაც ადგილზე შეისწავლეს თავიანთი საწარმოებისა და გაერთიანებების საქმიანობა, დასახეს წარმოებისა და ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების ღონისძიებები. იმუშავეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელ მუშაკთა სპეციალურმა კომისიებმა. უკვე დასახა ისეთი ფუძემდებელი დარგების გარდაქმნისა და განვითარების კონსტრუქციული პროგრამები, როგორიც არის, მაგალითად, ენერგეტიკა და მანქანათმშენებლობა.

ასეთი დინამიკური სტილი რეგიონალურ პარტორგანიზაციებთან ურთიერთობის ნორმად იქცეს, რასაც ადასტურებს პლენუმის მუშაობაში ჩვენი პატივცემული სტუმრების მონაწილეობაც.

ეს ყველაფერი ფიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს და ენერგიულ მოქმედებას გვავალებს. მთ უმეტეს, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში კვლავინდებურად იჩენს თავს კადრების არასაკმარის პასუხისმგებლობასთან, შრომის, საწარმოო, საგეგმო დისციპლინის დაბალ დონესთან დაკავშირებული ბევრი უარყოფითი ტენდენცია. ნელა გარდაქმნება ბევრი ხელმძღვანელი კომუნისტი, ისინი ძველებურად აზროვნებენ, ვერ მაღლდებიან მიმდინარე საქმეებზე, ცხოვრობენ მხოლოდ დღევანდელი დღით.

შეშფოთებას იწვევს წარმოების ზრდის ტემპის შენელებისა და ცალკეული ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუარესების ტენდენცია მთელ რიგ დარგებში. მაგალითად მრეწველობაში მიღწეული არ არის გარდატეხა მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით პროდუქციის რეალიზაციის გეგმების შესრულებაში. წლის პირველ ნახევარში ამ მაჩვენებელმა 98,4 პროცენტი შეადგინა, მანქანათსაშენებელ კომპლექსში კი — 94,2 პროცენტი.

ჩვენ საგრძნობლად ჩამოვრჩებით შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე წარმოების მატების საშუალო სიჩქარეში. ეს ფაქტორი ერეკტორზე მ. თ. თენეიშვილზე ამბობენ, ცოტა არ იყოს გაყოყოჩდა, სპეციალისტების აზრს ყურად აღარ იღებსო, ალბათ მეტისმეტად შევაქეთ. და ახლა იგი ზოგჯერ სამინისტროს მითითებებს უგულებელყოფს, კოლეგიებს არ ესწრება. როგორც ჩანს, კომბინატის კომუნისტებმა პრინციპული აზრი უნდა გამოთქვან ხელმძღვანელობის ასეთი „სტილის“ თაობაზე. კოლეგიურობის არარსებობას, თვითკმაყოფილებას კარგი არაფერი მოჰყვება და უნდა გადასინჯონ თავიანთი დამოკიდებულება.

მოლიანად კი სახმიღების გამოცდილებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა ცნობილი „ᲗᲘᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ: ყოველგვარი ორგანიზაციული ნაბიჯები განმტკიცებული უნდა იყოს შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური ღონისძიებებით. მხოლოდ მაშინ მოაქვს სასურველი ეფექტი მუშაობას წარმოების ეფექტიანობის ზრდისათვის.

არადა, რესპუბლიკაში სისტემატურად იფუშება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ნორმები, მეტადრე ახალ სახეობათა ნაწარმისა და ტექნოლოგიების, მექანიზაციის ათვისებისა და წარმოების ავტომატიზაციის სფეროში. ხელის შრომის შემცირების პროგრამის დავალებებს ფუშავენ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროო, „საქქვანახშირი“, გაერთიანებები „ელვა“, „აზოტი“ და სხვები. უკიდურესად ნელა ახლდება მანქანათმშენებლობის პროდუქცია. წლის პირველ ნახევარში 2,6 პროცენტი საგეგმო მაჩვენებლის ნაცვლად განახლების ფაქტობრივმა დონემ 1,6 პროცენტი შეადგინა.

ამიტომ მეურნეობრიობის ახალ პირობებზე წარმატებით გადასვლისათვის საჭიროა მივალწიოთ ცხოვრებისეული ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ — ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲘᲗᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲚᲣᲚᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲐᲮᲚ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ, ᲮᲐᲖᲒᲐᲡᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲗ 9 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.

ᲓᲦᲔᲡ ᲔᲙᲘ�პᲐᲟᲛᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲡᲘᲠᲘᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲔᲥᲢᲠᲝᲛᲔᲢᲠᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲔᲠᲘᲐ. ᲐᲛ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲡᲤᲝᲠᲗᲐ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ. ᲛᲬᲕᲐᲕᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲗᲘᲐᲜ ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ. ᲔᲡ ᲣᲙᲘᲚᲝᲑᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲚᲣᲚᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲐᲮᲚ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ

განუხრელად გავზარდოთ თანამედროვე ტექნიკის გამოშვება

(დასასრული)

სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის მინისტრმა ნ. ა. პუგინმა თქვა, რომ სამინისტროს საწარმოებმა ქვეყანაში ერთ-ერთმა პირველებმა დანერგეს სამეურნეო ანგარიში და თვითდაფინანსება. ამ საფუძველზე მათ მიაღწიეს წარმოების ეფექტიანობის არსებითს ზრდას. შესრულდა პროდუქციის გხმოშვების, შრომის ნაყოფიერებისა და მოგების ზრდის, თვითღირებულების შემცირების დავალებანი. გეგმაზომიერად აწლდება ტექნიკა, იზრდება მისი ეკონომიურობა და საიმედოობა. მიმდინარე ხუთწლედში შეიქმნება 250-ზე მეტი ახალი მოდელისა და მოდიფიკაციის მანქანები. ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზრდება დიზელის ავტომობილების პარკი. დარგმა არსებითად გაზარდა საგარეო ბაზარზე ტექნიკის გაყიდვა, მაგრამ შემდგომი სრულყოფა სჭირდება ექსპორტის გაფართოებით საწარმოთა ეკონომიკური დაინტერესების სისტემას. დაზუსტებას მოითხოვს აგრეთვე სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში წარმოებისა და სოციალური სფეროს განვითარების ფონდების ფორმირების ზოგიერთი დებულება.

მანქანათმშენებლობის მოდერნიზაციაში დარგობრივი მეცნიერების როლის გაძლიერებისათვის მუშაობას და უმოკლეს ვადებში სამეურნეო ანგარიშზე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების გადაყვანის საჭიროების შესახებ ლაპარაკეს მინისტრებმა ო. გ. ანფიმოვმა და მ. ს. შკაბარდნამ. ელექტროტექნიკასა და ხელსაწყოთმშენებლობაში არის სამეურნეო ანგარიშზე სამეცნიერო ორგანიზაციათა გადაყვანის გამიცდილება. არის პოზიტიური შედეგებიც, მაგრამ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი აყოვნებს ამ საკითხზე გადაწყვეტილებათა მიღებას. მინისტრებმა თვითკრიტიკულად შეაფასეს საქმის ვითარება ნაწარმის ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლებაში. ჯერ კიდევ ბევრი სახეობის ტექნიკა გამოსადეგობის ვადებთია და მუშაობის საიმედოობით ჩამოუვარდება საუკეთესო ნიმუშებს. ეს ეხება, მაგალითად, ნავთობმბრჯოველის ჩასაძირ ელექტროძრავებს, დაბალი ძაბვის აპარატურას, ელექტროძრავებს, მართვის სისტემებს, გამომთვლელ მანქანებს. სერიოზული პრეტენზიები წაუყენეს მომიჯნავე სამინისტროებს მასალებითა და მაკომპლექტებელი ნაწარმით საწარმოთა უკეთ უზრუნველყოფის ნაწილში.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის წინაშე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ინტენსიური ტექნოლოგიების დასანერგავად საომედო, დიდმწარმოებლური ტექნიკის გამოშვების ნაწილში ამოცანების შესრულების მიმდინარეობას შეეხო მინისტრი ა. ა. ეფევსკი. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე შეიქმნა 500-ზე მეტი ახალ სახეობათა მანქანა. კარგად მუშაობს კომბაინი „დონი“, განსაკუთრებით პურეული აღებაზე მიმდინარე წლის რთულ პირობებში. ამავე დროს ამბ. ეფევსკიმ აღნიშნა, რომ დარგში ჯერ კიდევ ცუდად წარმოებს სამუშაოები მოწამოქმედებასა და მეცხოველეობაში ახალი ეფექტიანი ტექნოლოგიების ფართო დანერგვისათვის საჭირო მანქანათა მთლიანი კომპლექსის ასათვისებლად, სოფლად საწარმოთა საყრდენი პუნქტების შესაქმნელად და ტექნიკის სერვისული მომსახურების ქსელის გასაფართოებლად.

ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრის ნ. ა. პანინეკის გამოსვლაში მთავარი ყურადღება დაეთმო მოწყობილობის განახლებასა და საჩარხე პარკის სტრუქტურის სრულყოფაში დარგის ჩამორჩენის, ლითონდასამუშავებელი მოწყობილობის წარმოების გეგმების შეუსრულებლობის მიზეზების ანალიზს. სამინისტრომ დაამტკიცა 'დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პროგრამა. განსაზღვრა პერსპექტიულ სახეობათა ჩარხების ნომენკლატურა. გადაისინჯა სამკედლო-საწნეხი და პრეციზიული მოწყობილობის შექმნის დავალებანი. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ჩარხმშენებლობაში ჩამოყალიბდეს ელექტრონული ტექნიკისა და მართვის რიცხვული სისტემების ჩარხების შექმნის საკუთარი სამეცნიერო და საწარმო ბაზა. ჩარხმშენებლებმა შეიძინეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საწარმოებთან და კაპიტალისტურ ფირმებთან თანამშრომლობის გარკვეული გამოცდილება.

ამავე დროს ჩარხმშენებლობის წარმატებული განვითარებისათვის საჭიროა აუცილებლად გადაწყდეს ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის შეცვლის პრობლემა. ამაში ცენტრალური ეკონომიკური ორგანოების დახმარებაა საჭირო.

სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის მინისტრმა ლ. ბ. ვასილიევმა აღნიშნა, რომ დარგში ჯერ კიდევ ნელა იქმნება პროგრესული ტექნიკა და საკმარისად არ იზრდება მისი გამოშვება. აცნობა რა დამსწრეთ, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ შემკვეთებთან თანამშრომლობის გაუმჯობესებისათვის, სახელმწიფო მიღების დანერგვისათვის საჭირო მოწყობილობის დამზადებაში სხვა დარგების ჩაბმის, დარგობრივი მეცნიერების საქმიანობის გაქტიურებისათვის, მინისტრმა ყურადღება დაუთმო ნაკლოვანებებს მაკომპლექტებელი ნაწარმის შემუშავებაში, სერიოზულ პრობლემებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფაში, მომზარებელთა მიერ მზა პროდუქციის არადროული ანაზღაურების ფაქტებს.

მინისტრებმა ვ. მ. ლუკიანენკომ და ე. ა. ვარანჩევმა თავთბილს მოახსენეს, თუ როგორ მიმდინარეობს გარდაქმნა ქიმიის, ნავთობისა და სამშენებლო-საგზაო მანქანათმშენებლობის დარგებში. აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ ნელი ტემპით წარმოებს ტექნიკის გაახლება და მისი გამოშვების ზრდა. დიდი შეშფოთებით აღინიშნა, რომ საკმარისად არ კმაყოფილდება თანამედროვე მოწყობილობაზე ქიმიური მრეწველობის მოთხოვნები. გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა შემჭიდროებულ ვადებში შეიქმნას ქიმიური მოწყობილობის გამომშვები მთელი რიგი კარგად აღჭურვილი საწარმოები. აგრეთვე უფრო სრულად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი დიდმწარმოებლური მანქანებით სამშენებლო ინდუსტრია.

კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს მეცნიერთა თანამშრომლობა სამრეწველო საწარმოებთან მიკროპროცესორული და გამოთვლითი ტექნიკის დანერგვისათვის, თქვა თათბირზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ე. პ. ველიხოვმა. თავის გამოსვლაში მან გააშუქა ამ მიმართულებით მეცნიერებათა აკადემიისა და გაერთიანება „ლიხაოვის საავტომობილო ქარხნის“ ერთობლივი მუშაობის მეთოდები. მისი აზრით, ყველა დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსი როდი მუშაობს სრული უკუგებით, საჭიროა განხორციელდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამ უმნიშვნელოვანესი რგოლების მართვის სრულყოფის ღონისძიებანი. ორატორმა ითხოვა, რომ გამოიყოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, რათა „ლიხაოვის საავტომობილო ქარხნის“ გაერთიანებამ თავისი ძალებით გამოუშვას საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების ავტომატიზაციის დიდეფექტიანი სისტემები.

ეტყობა, ასეთ შემთხვევებში უნდა ვიყენებდეთ შესაბამის ეკონომიკურ სანქციებს, ისევე როგორც მაშინ, როცა ხელფასის ზრდა ყოველგვარი ხილული მიზეზის გარეშე უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროებმა უნდა გაიაზრონ ეს საკითხი, სრულად გამოიყენონ სახელმწიფო რეგულირების ბერკეტები.

არის მეორე მხარეც, თვითდაფინანსებაზე გადასვლა ფორმალური ხასიათისაა მცოდნე, საფუძვლიანი ნორმირების გარეშე. ეს სამეურნეო ანგარიშის საფუძველია. სწორედ იმის წყალობით, რომ სრულყოფენ ნორმატიულ ბაზას, მთლიანად წარმატებით მუშაობენ სამეურნეო ანგარიშის პირობებში სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზსელსაწყო“ და სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის გაერთიანება. მათი გამოცდილება აქტიურად უნდა გავავრცელოთ. ჩვენი ეკონომიკური ორგანოები მეტისმეტად აჭიანურებენ სახელმწიფო შეკვეთებისა და სტაბილური ნორმატივების შემუშავებას და მათს გაცნობას საწარმოებისათვის, რომლებიც სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე გადადიან.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი სამეურნეო მექანიზმის ძირეული გარდაქმნის პირობებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მთავარი მიმართულებები უნდა გახდეს საქმის უნარიანი ორგანიზაცია, მტკიცე, შეგნებული დისციპლინა, ყველა გადადგმული ნაბიჯის ღრმა ეკონომიკური დასაბუთება.

II.

ამის ფართო წანამძღვრებს გვიქმნის ივნისის პლენუმის მიერ მოწონებული და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ დამტკიცებული კანონი სახელმწიფო საწარმოს (ერთობლივი) შესახებ, პლენუმზე მიღებული „ეკონომიკის ძირეული გარდაქმნის ძირითადი დებულებები“.

კანონი მალე შეიძენს ძალას. და ამას ანგარიში უნდა გაუწიონ ჩვენმა საგეგმო-ეკონომიკურმა, ფინანსურმა და სხვა ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა. მ. ს. გორბაჩოვმა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ზოგადსამართლებრივი პრინციპი: „ნებადართულია ყველაფრის კეთება, რასაც კანონი არ კრძალავს“. ეს უდიდეს შესაძლებლობებს უსახავს შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენას, არაორდინარული, არასტანდარტული გადაწყვეტებისა და მიდგომების ძიებას. ყველაფერი ეს შეავსებს პარტიის კოლეგიალურ გამოცდილებას.

რა საჭიროა ცირკულარებისა და რეგლამენტაციების ლოდინი. მთავარი მიმართულებები ცნობილია. განა ჩვენ რაზე დავკარგეთ იმით, რომ ერთ-ერთმა პირველებმა დავიწყეთ რესპუბლიკაში რაიონული სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების შექმნა? ამან მერე საგრძნობლად გაგვიადვილა აგროსამრეწველო კომიტეტის ფორმირება და რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებ ე ბ ი ს ჩამოყალიბება. ზუსტად ასევე ფოთის ტიპის ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების შექმნა აადვილებს ივნისის პლენუმის მითითებების რეალიზაციას სახალხო მეურნეობის მართვის ტერიტორიული ასპექტების გაძლიერებისა და სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის ზრდის სფეროში.

ახლა ყველაზე გადამჭრელი და გაბედული მოქმედებაა საჭირო სხვა დარგებშიც, სხვა სფეროებშიც. ლაპარაკი იმაზე, რომ ვიღაც მზად არ არის ახლებურად მუშაობისათვის, უსაფუძვლოა, ვინაიდან სწორედ შრომისა და მართვის ორგანიზაციის, ეკონომიკური ურთიერთობის ახალმა პრინციპებმა უნდა უზრუნველყოს ჩვენს სახალხო მეურნეობაში საქმის ძირეული გაუმჯობესება. ამასთან, ცენტრალური კომიტეტი რეალურ უკუგებას უახლოეს ხანშივე ელის, და ჩვენი ვალია XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე კონკრეტული შედეგებით მივიდეთ.

ყოველმხრივ მხარდაჭერას იმსახურებს თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ინიციატივა, რომელმაც დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეულად ვალდებულება იკისრა მიაღწიოს ეფექტურობის, კერძოდ სახალხო მოხმარების საქონლის განახლებას, დაჩქარის საწარმოთა გადასვლა სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითთანაზღაურებასა და თვითდაფინანსებაზე, ამასთან აქტიურად გამოიყენოს საამისოდ ამას წინათ შექმნილი სამეურნეო-საანგარიშო საკონსულტ ა ც ი ო ორგანიზაციის „ფინანსების“, ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანებების შესაძლებლობები და ეფექტიანად აამოქმედოს ქალაქის მთელი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი. სასიხარულოა, რომ დედაქალაქის პარტორგანიზაცია კვლავ დგება განახლებისა და პროგრესისათვის ბრძოლის წინა ხაზზე, ეძებს გარდაქმნის დაჩქარების გზებს. ვფიქრობ, ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მიმდინარე წლის დამლევს, ან მომავალი წლის დამდეგს უნდა მოვისმინოთ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ანგარიში.

საინტერესო წინადადებები მოუვდა ცენტრალურ კომიტეტს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსაგან. ყველამ იცის, რა მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ამ დარგში. ასეთ პირობებში სამინისტროს ხელმძღვანელებასა და ამხ. ო. ნ. სულაძეს სავსებით კანონზომიერად ესახებათ ერთადერთ გამოსავლად დარგის გადაყვანა სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის პირობებში მუშაობაზე.

გუშინ ჩვენ თათბირი მოვაწყვეთ. ბევრი რესპუბლიკური ორგანო უჭერს მხარს ამ წინადადებას და თავის მხრივ სამინისტროს დახმარების გარანტიას იძლევა. ამ საქმეში აქტიურად ჩაებნენ რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო და პირადად მინისტრი დ. ნ. დვალიშვილი, რომლებიც უკვე შეუდგნენ კონკრეტულ, პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას. ასევეთვე დაინტერესებულ მიდგომას ველით სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საბანკის საქართველოს კანტორისა და სხვა უწყებებისაგან. სამინისტროს ინიციატივა დაჩქარ ე ბ ი ს და გარდაქმნის შემადგენელი ელემენტია. ეს არის ჩვენი ყველა ორგანოს პოლიტიკური სიმწიფისა და ახალი აზროვნების, მოძველებული სტერეოტიპებისაგან განთავისუფლების უნარის თავისებური შემოწმება. ფეხის ათრევა აღარ ღირს. უკვე ოქტომბერ-ნოემბრიდან უნდა მოვახდინოთ ახალი სისტემის აპრობირება რამდენიმე საწარმოში, ხოლო 1988 წელს გავავრცელოთ იგი მთელ დარგზე.

ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება კითხვებიც. ამხანაგებს გარდაუვალად მიაჩნიათ წარმოების მოცულობის ერთგვარი შემცირება. ამას საფუძვლიანი არგუმენტები სჭირდება. რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვარგია „ქაღალდის“ გადარიცხვები ბიუჯეტში, ისევე როგორც უვარგისი პროდუქცია. მაგრამ უნდა ვეძებოთ კომპენსაციის შესაძლებლობები, ავამაღლოთ სიმძლავრეთა გამოყენების დონე, გავზარდოთ პროგრესული მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტი. ჩვენ გვქედება ყველა თვისებრივი მაჩვენებლის გაუმჯობესებისა და იმის საიმედო გარანტიები, რომ, თუ დავთანხმდით კიდევ მოცულობის რამდენადმე შემცირებას, იგი ხუთწლედის მომდევნო წლების შედეგებით დაიფარება.

მთავარი კი ის არის, რომ ასეთი გარდაქმნა უნდა დავიწყოთ საწარმოებით, დავამკვიდროთ ადგილებზე პროგრესული ეკონომიკური პრინციპები, განვავითაროთ ინიციატივა, გავაძლიეროთ კადრების პასუხისმგებლობა. თუ აქ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, საკრედიტო-ფინანსურმა ორგანოებმა მხარი არ დაგვიჭირეს და მონაწილეობა არ მიიღეს, ფონს ვერ გავალთ. ეს მუშაობა უნდა იქცეს ახალი კანონის ფართოდ შემოღების პირველ გამოცდილებად, და სწორი იქნება, თუ პლენუმი მის გაძლოლას დაავალებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს ბ. ვ. ნიკოლსკის და ცენტრალური კომიტეტის მდივანს გ. ა. ანჩაბაძეს.

ჩვენ სიახლეთა დანერგვის გარკვეული ტრადიციები გვაქვს ტრანსპორტზე. სამეურნეო ანგარიში მოქმედებს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსა და საქართველოს საზღვაო სანაოსნოში. ახლა ახალ პირობებში მუშაობაზე გადადის ამიერკავკასიის რკინიგზაც, რომელიც პარალელურად ბელორუსი კოლეგების გამოცდილებას ნერგავს. სამწუხაროდ, რკინიგზაზე ბევრი რამ ფერხდება საწარმოო საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის გამო.

ამხ. ზ. დ. პაპავას დროულად არ გამოაქვს დასკვნები ცენტრალური კომიტეტის წინა პლენუმზე გამოთქმული კრიტიკიდან. ნავთლუღის საღგურში მომხდარი კატასტროფის შემდეგ კიდევ უფრო დიდი აკრიტიკა მოხდა ზეტაფონში. არ სრულდება არც ერთი საგეგმო მაჩვენებელი. რკინიგზის საკითხი უკვე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განყოფილებების დონეზე განიხილება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ერთად უნდა გაარკვიონ შექმნილი მდგომარეობის მიზეზები, დასაზონ დისციპლინის განმტკიცებისა და კადრების პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებები, გაზარდონ რკინიგზის სამმართველოს პარტიული ორგანიზაციისა და პარტკომის როლი.

ამასთანავე ზშირი ავარიები და სხვა სიძნელეები რკინიგზაზე იმითაც არის გამოწვეული, რომ სუსტია შიდა ქსელი და არ ჰყოფნით მომიჯნავე მაგისტრალებზე გასასვლელები. ამას ზშირად მოჰყავება ხოლმე შეფერხებები საწარმოთა ნედლეულით, სათბობით, მასალით უზრუნველყოფაში, განსაკუთრებით რესპუბლიკის ფარგლებს გარეშე, მზა პროდუქციის გაგზავნაში. დაიენებით დგას ამიერკავკასიის რკინიგზის შემდგომი განვითარების საკითხი.

უნდა განვაგრძოთ პერსპექტიული წამოწყებები თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებაში ავტობუსების მძღოლთა კომპლექსური სამეურნეოანგარიშ ი ა ნ ი ბრიგადების შესაქმნელად. თავის დროზე შემოსავალი ექსპერიმენტულ მარშრუტებზე დამატებითი ხარჯების გაუწევლად 1,5-ჯერ გაიზარდა, საგრძნობლად მოიმატა საშუალო ხელფასმა, მოხერხდა გლდანის, მუხიანის, თემქის მცხოვრებთა სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება.

თუმცა, ხელი შენიშვნებიც გვქონდა. ექსპერიმენტი ძირითადად საექსპრესო ხაზებით შემოიფარგლებოდა, საკმარისად გაანრებული არ იყო ჩვეულებრივ მარშრუტებზე და სხვა სახეობის საქალაქო ტრანსპორტზე მისი უფრო ფართოდ გამოყენების შესაძლებლობები. გარკვეულ გადასინჯვას მოითხოვდა ნორმატიული ბაზა, რადგან ზოგიერთი მძღოლის ხელფასი გაუმართლებლად დიდ ოდენობას აღწევდა. საკმარისად არ იყო შესწავლილი მგზავრთნაკადებიც, რაც არ გამორიცხავდა ამონაგების ნაწილის მითვისებას.

ესე იგი, სისტემა კვლავაც უნდა გაგვეუმჯობესებინა, განგვევითარებინა, მით უმეტეს, რომ მას ქვეყანაში მიმდევრებიც გამოუჩნდნენ. მაგრამ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო და გაერთიანება პასიურობას იჩენენ ამ გამოცდილების გავრცელებაში. ეტყობა ამ საქმეში უფრო აქტიურად უნდა ჩაებან თბილისის საქალაქო აღმასკომი და ფინანსთა სამინისტრო, რათა მიმდინარე წლის დამლევამდე მგზავრთა მომსახურების პროგრესულ მეთოდზე გადაიყვანონ დედაქალაქის ყველა ავტოსატრანსპორტო საწარმო. მეუაილთად უნდა ვეძებოთ ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტის ზარალიანობის შემცირების გზები.

კარდინალური ღონისძიებებია საჭირო სამშენებლო კომპლექსის, განსაკუთრებით რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მუშაობის გარდაქმნაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოზე საცხოვრებელი და სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაში წამატებებისა და თვალსაჩინოების ფაქტების განხილვის შემდეგ ანალიზური მუშაობა აქ რამდენადმე გამოცოცხლდა, დაისაზა საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების პროგრამა.

მაგრამ რეალური ძვრები, მეტადრე ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, არ ჩანს. პირიქით, იგი უარესდება— გადაუხდელმა თანხამ მშენებლობის სამინისტროში უკვე 350 მილიონ მანეთს გადაამტა. საკაჟირო ორგანოები სახავენ ჩვენთვის დახმარების გაწევას. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოყოს 144 მილიონი მანეთი რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციებსა და საწარმოებში საბრუნავი სახსრების ნაკლებობის შესავსებად, აგრეთვე გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ 1988 წლის 1 დეკემბრამდე გადაიდოს სსრ კავშირის მშენბანკის 30 მილიონი მანეთის ოდენობის სესხის დაფარვა, 1987 წელს გამოიყოს მშენბანკის კრედიტი 114 მილიონი მანეთის ოდენობით და გაწეულ იქნეს სხვა შეღავათები.

ყოველივე ამან არ უნდა დაამშვიდოს სამინისტროს ხელმძღვანელობა და დ. ვ. მანჯგალაძე. წინ სერიოზული სამუშაოა. და დროა ძირითადი ყურადღება დაეთმოთ დარგში ეკონომიკური საქმიანობის დონის ამაღლებას, სამეურნეო ანგარიშის განვითარებას, რათა არ განმეორდეს სერიოზული შეცდომები.

მშენებლობის სამინისტრომ ამას წინათ დაამტკიცა გაერთიანება „თბილისქალაქმშენი“ № 1 და № 4 სახლთსაშენებელი კომბინატების ინდუსტიური ბაზების დაჩქარებული მშენებლობის პროგრამა და გაითვალისწინა საინვესტიციო პროცესის ელემენტების შეთავსების, დაპროექტებისა და მშენებლობის პარალელური განხორციელების მეშვეობით ამ ობიექტების ავების ვადების ერთთიროად შემცირება. ასეთი მეთოდი წარმოებისა და შრომის უკეთეს ორგანიზაციასთან შეზამებით დიდ უკუგებას გვპირდება.

ამ თვალსაზრისით თვალი უნდა მივადევნოთ იმას, რომ სამინისტროში დაწყებული მთელი ტრანსტების გადაყვანა კოლექტიურ იჯარაზე, მისში მართვის აპარატის მუშაკთა ჩაბმით, არ იქცეს ფორმალურ აქციად, რომ ამ პროცესმა რეალურად შეუწყოს ხელი ტექნიკურ-ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესებას, მშენებელთა დისციპლინისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

ნაკლი ძალიან ბევრია. გადაეპარებით არ უნდა ვაფასებდეთ ღონისძიებებს, რომლებიც მაგალითად, საბინაო მშენებლობის ხარისხის დარგში განხორციელდა, მით უმეტეს, რომ იგი მინიმალურად დასაშვებ დონეზე გაციცებით დაბალი იყო. საჭიროა მეტი თვითკრიტიკულობა და თვითანალიზი. ამას აღასტურებს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე საბინაო მშენებლობის პრობლემების ამსჯნინანდელი განხილვაც. მეტი ყურადღება ადამიანებს, მეტი ზრუნვა მათთვის!

დროა სიტყვით კი არა, საქმით გავზარდოთ არსებითად სახმშენის როლი. მისი ფუნქციები რთულდება, პასუხისმგებლობა იზრდება. ჯერჯერობით კი ბევრი სასარგებლო წამოწყება, მათ შორის კაპიტალური მშენებლობის მართვის ერთიანი ცენტრის, სამშენებლო მეცნიერების მართვის სისტემის შექმნა, ჩაკლა ამ ორგანოს მუშაობის არადამაკმაყოფილებელმა სტილმა.

ამხ. გ. ზ. მირიანაშვილმა უნდა მიაღწიოს იმას, რომ კომიტეტის თანამშრომლები რეალურად მონაწილეობდნენ პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში, მიჰყავდეთ ეს საკითხები ბოლომდე, განამტკიცონ კონტაქტი სამინისტროებთან და უწყებებთან და, რა თქმა უნდა, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან.

ცენტრალურ კომიტეტს სერიოზულად აშფოთებს მდგომარეობა რესპუბლიკის სახაგრომრეწველოში. თებერვალში ეს საკითხი ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე განვიხილეთ და მთელი რიგი ღონისძიებები დავსახეთ. 49 მილიონი მანეთის კრედიტისა და 154 მილიონი მანეთის კრედიტების დაფარვის გადავადების მიუხედავად, გადაუხდელობა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით იზრდება და მან ახლა თითქმის მილიარდ მანეთს მიაღწია. 91 ორგანიზაციას ულიკვიდო ბალანსი აქვს.

უნდა ითქვას, რომ ასეთი მდგომარეობა, უწინარეს ყოვლისა, აოსურო მეურნეობრიობის, დისციპლინის დაბალი დონის შედეგია. ამას მოწმობს უზარმაზარი სისტემისშიდა ვალები, რომელთა წილად 654 მილიონი მანეთი მოდის 810 მილიონი მანეთიდან. დამამზადებელ ორგანიზაციებსა და გადამამუშავებელ საწარმოებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ვალი მართებთ, იმათ — სამშენებლო და მომმარაგებელი ორგანიზაციე ბ ი ს, ყველას ერთად კი სახბანკისა. შემამფოთებელია ისიც, რომ წლიულ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის 3-7 პროცენტით ზრდის პირობებში საკრედიტო დაბანდებანი საბჭოთა მეურნეობებში 15 პროცენტით გაიზარდა. მეურნეობების უმრავლესობა უკვე არაერთი წელია შეგნებულად ყოფს თავს ვალის ულელში.

პირდაპირ ვიტყვი, დარგის ბევრ ხელმძღვანელს უბრალოდ დაავიწყდა მუშაობა შიდარეპუბლიკური ფონდიდან დოტაციების მიღების პირობებში. 193 მილიონდან 1985 წელს 154 მილიონი მანეთი, ანუ კოლმეურნეობათა მიერ ბანკმატებისაგან მიღებული სახსრების 80 პროცენტი მოხმარებისთვის გამოიყენეს, და მხოლოდ 20 პროცენტი — წარმოების გაფართოებისათვის. 1986 წელს ეს მაჩვენებელი შესაბამისად 160 მილიონი მანეთიდან 134 მილიონ მანეთს, ანუ 84 პროცენტს უდრის. სხვისი შეყურეობის გაწყობილებამ მეტისმეტად მოიკიდა ფეხი ცხინვალის, საგარეჯოს, მცხეთის, დუშეთის, საჩხერის, ორჯონიკიძის, მაიაკოვსკის, თერჯოლის, ბორჯომისა და სხვა რაიონებში.

განსაკუთრებით უნდა შეეეხოთ მარნეულის რაიონს. აქ ყველაზე ხელსაყრელი პირობებია, შეიქმნას მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მიუხედავად ამისა, მეურნეობებმა ფაქტობრივად „შეჭამეს“ სამი წლის განმავლობაში მიღებული დაახლოებით 30 მილიონი მანეთის დანამატები. წლეულს რაიონს დოტაციის სახით 7 მილიონი მანეთი გამოეყო. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე გოგოლაძე კი დანამატების კიდევ 3,5 მილიონი მანეთით გაზრდის საკითხს სვამს.

ვერ ვიტყვით, და ამბ. გ. დ. მგელაძეც დაგვეთანხმება, რომ ვერაფერი ხელსაყრელია ასეთი ქველმოქმედება. დოტაციას ისინი კი არ იღებენ, ვისაც მისი ეფექტიანი გამოყენების უნარი აქვს, არამედ ისინი, ვინც ცუდად მუშაობს, თავის ცოდვებს ფარავს. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და სახაგრომრეწველომ უნდა წარმოადგინონ დასაბუთებული წინადადებები, რათა ამ საქმეში გამოირიცხოს სუბიექტივიზმი და ვოლუნტარისტული გადაწყვეტები. ჩვენ მეტ მომთხოვნელობას ველით აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის მდივანს ნ. ა. ჭითანავასგან, რომელსაც საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე დაევალა საფუძვლიანად მოჰკიდოს ხელი აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში ეკონომიკური მუშაობის სრულყოფის პრობლემებს.

ყურადღებას იპყრობს თვით სახაგრომრეწველის მუშაობის სტილი, რომელიც ჯერჯერობით შორს არის ხელმძღვანელობის ეკონომიკური მეთოდებისაგან. ნახევარ წელიწადში შემოსული კორესპონდენციის რაოდენობამ 36 ათას ერთეულს გადააჭარბა, გასული წლის ანალოგიური პერიოდის 23 ათასის ნაცვლად, ხოლო გაცემული ბრძანებების რიცხვი 1674-დან 1790-მდე გაიზარდა. ზოგიერთი რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება სახაგრომრეწველო ყოველწლიურად ათასზე მეტ წერილს, ბრძანებასა და განკარგულებას იღებს, თანაც მათ უმრავლესობას ახლავს მითითება, რომ გააცნონ მეურნეობებს. მითითება ზშირად ფორმალიზმის მკაფიო დადასტურებაა. მაგალითად, ასეთი: „ათი დღის ვადაში შეიმუშავეთ და განახორციელეთ ოჯახური და ბრიგადული იჯარის ფართოდ დანერგვის ღონისძიებები ჩასაბარებელი პროდუქციის არა მარტო მოცულობის, არამედ ხარისხის გათვალისწინებითაც“.

(გაგრძელება მე-3 გვ.)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმი

(გაგრძელება)

მრეწვი, ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო, ცეკავშირი, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, სხვა სამინისტროები და უწყებები, საკავშირო დაქვემდებარების მრავალი საწარმო.

დიდი ოდენობის ვადაგასული სესხების დაფარვის გადავადების, შეღავათიანი დაკრედიტების გამოყენების, ურთიერთდავალიანების ჩათვლის მიუხედავად, გადაუხდელობა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით კვლავ გაზარდა და 2,3 მილიარდ მანეთს გადაამტა. საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაკლებობამ 765 მილიონ მანეთს მიაღწია. მრავალმა სამეურნეო ორგანომ მთლიანად დაკარგა ისინი, თუმცა ხუთწლედის დამდეგიდან მათ შევსებას ბიუჯეტიდან თითქმის 260 მილიონი მანეთი მოხმარდა. საბრუნავი სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ კაპიტალად იქცევა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნარჩენებში, რომლებიც 3,2 მილიარდ მანეთს შეადგენს, ჩვენ არაერთხელ დაგვისახელებია ეს, მე კი ვიტყოდი, ასტრონომიული ციფრები, მაგრამ შეცბუნების ნიშანწყალს ვერ ვატყობთ ზოგიერთი ჩვენს ხელმძღვანელს, რომლებიც ქარს ატანენ ხალხის ფულს.

წლის დამდეგს ცენტრალურმა კომიტეტმა, მაგალითად, განიხილა დებიტორული დავალიანების საკითხი, რომელიც მილიარდ მანეთზე მეტს მოიცავს. სამინისტროებსა და უწყებებს მიეცათ კონკრეტული დავალება: უზრუნველყონ 1 მაისამდე დებიტორული დავალიანების სრული გაშიფრვა და მოაწყონ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ფაქტობრივი ნარჩენების ინვენტარიზაცია. ეს დავალება ფაქტობრივად არ შესრულებულა. იმიტომ, რომ არ არის სათანადო კონტროლი, კერძოდ, ალბათ, ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს მხრივაც.

ვერაფერთ ვერ გავამართლებთ, მაგალითად, მრავალი მილიონის ზარალს, რომელიც შარშან ნახეს დამამზადებელმა ორგანიზაციებმა, ფრინველის ხორცის, მრავალი სახეობის საკონსერვო პროდუქციის წარმო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმი

(დასასრული)

...ობადება გრძნობა, რომ კომ...ეტის ბევრმა მუშაკმა საერთოდ ...ერ შეძლო თავისი ფუნქციური ...ოვალეობების ზუსტად განსაზღ...რა. ჩვენ დამოუკიდებლობაზე ...ლაპარაკობთ, თერჯოლის რაიონ...ულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში კი წლეულს უკვე 120 ...აც იყო ჩასული. კიდევ უფრო ...ეტი თანამშრომელი ეწვია, მაგალითად, თელავს, გარდაბანსა და ...ხვა რაიონებს. ამ ნიადაგზე პირდაპირ იფურჩქნება ადმინისტ...ირება.

...რა გვესახება მდგომარეობისა...ან გამოსავლად? ეკონომიკური ...ერკეტების აქტიური და უნარი...ანი გამოყენება. უნდა ავამაღლოთ ...პარატის აკადიფიკაცია. შესაძ...ელია, ვიფიქროთ მის შემცირებაზე, ასეთი წინადადებანი, რო...ორც ვიცით, აქვს ამხ. მგელა...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმი

(დასასრული)

ბოლო ხანს ახალქალაქის, დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში, თვით მარნეულში და ზოგიერთ სხვა რეგიონში ვიყავით. და რა ვნახეთ: ამხანაგებმა ვერ ისწავლეს მთავარი — ადამიანებთან მუშაობის სწორი ორგანიზაცია.

საგულისხმო გახდა პარტიის გორის რაიკომის ანგარიშიც. მისმა მიიურომ, პირველმა მდივანმა ვ. პ. აბრამაშვილმა ვერ შეძლეს დროულად შეეგნოთ და სათანადოდ შეეფასებინათ ეკონომიკისა და სოციალური სფეროში დაგროვილი ნეგატიური პროცესებისა და მოვლენების სიმწვავე. ბოლო კრუნჩხს საქმოსნებისა და მაქინატორების პარაპშს. მარტო ბოლო წლების მანძილზე აგროსამრეწველო კომპლექსში 12 მილიონ მანეთზე მეტი უკანონო ხარჯები, დანაკლისი და დატაცებანი გამოვლინდა. რაიკომს კი ვერ გიუსაზღვრავს, რას მოაზმაროს რაიონული პარტიული ორგანიზაციის მეცადინეობა. ცხადია, მისი რეშუამბა, შეფასება, როგორც არადამაკმაყოფილებელი.

წინა პლენუმზე მკაცრად გავაკრიტიკეთ პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი, რომლის ანგარიში მოვისმინეთ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე. დრო ადასტურებს ავტონომიური ოლქის პარტიული კომიტეტების მისამართით გამოთქმული შენიშვნების სისწორეს. საგრძნობი პოზიტიური ცვლილებები არ შეინიშნება მათთ, კერძოდ, პარტიის ლენინგორისა და ზნაურის რაიკომების მუშაობის სტილში. პირველმა მდივნებმა გ. ვ. ქუმსიშვილმა და გ. ი. გაგიევმა შეასუსტეს დისციპლინა, ჯეროვან მომთხოვნელობას არ იჩენენ კადრებისადმი. პარტიის ცხინვალის რაიკომი (ამხ. ფ. ვ. ჯიოევი) არ ებრძვის სხვისი მიმედოობის განწყობილებას. საკვების ნაკლებობის შედეგად საფრთხე შეექმნა პიროუყვის მომავალ გამოზამთრებას.

სასხდომო ფუსფუსი და ადმინისტრირება კადრებთან მუშაობაში ახასიათებს პარტიის ქობულეთის რაიკომს. რაიონი თმობდა პოზიციებს მთელი რიგი მნიშვნელოვანი მაჩვენებლების მიხედვით. იძულებული გავხდით შეგგეცალა მისი პირველი მდივანი შ. რ. მესხიძე. გარდაქმნის მოთხოვნებისაგან შორს დგას პარტიის წულუკიძის რაიკომისა და რაიაღმასკომის მუშაობის სტილი. აქ ვხედავთ უინიციატივობას, შემრიგებლურ დამოკიდებულებას ნაკლოვანებებისადმი, უძრაობის მოვლენებს ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში. პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. კ. კინწურაშვილმა მოქმედებისათვის მზადების დრო ამოწურა, და ეს უნდა გათვალისწინოს.

სერიოზულად გვაშფოთებს მაიაკოვსკის რაიონში შექმნილი ვითარება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სერიოზული კრიტიკის შემდეგაც რაიონის ხელმძღვანელობას არ შეუძლია სათავეში ჩაუდგეს დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლას, კვლავ ურიგდება კადრების შერჩევისა და განაწილების პარტიული პრინციპების დარღვევებს. რაიკომის პირველი მდივანს ბ. პ. ნოზაძის მაგვარ უხერხემლობას ვერ შეეფერებით.

რა თქმა უნდა, უძრაობის პროცესები ყველა რაიონს როდი ახასიათებს. მაგალითად, ერთობ გერგელიანად, დემოვნებითა და გამომგონებლური ინიციატივით მიმდინარეობს კეთილმოწყობა, წესრიგი და სისუფთავე მყარდება. და ყოველივე ეს ზედმეტი აურზაურის გარეშე კეთდება, კომუნისტთა, მშრომელთა ავანგარდული როლისა და ინიციატივის პირობებში. საწყენია, რომ ასეთი დამოკიდებულება, მაგალითად, აშკარად აკლიათ ბორჯომელ ამხანაგებს, რომლებსაც ნაკლები შესაძლებლობანი როდი აქვთ.

ყველას გვეამა, როცა „პრავდაში“ წავიკითხეთ გულთბილი ნარკვევი აბაშის პარტიული ორგანიზაციის, მისი ძიების, შემოქმედებითი საქმეების, ასევე გადასაწყვეტი პრობლემების შესახებ. გვინდა გვჯეროდეს, რომ ეს კარგ იმპულსს მიანიჭებს რესპუბლიკის ყველა პარტორგანიზაციის მუშაობას.

მთლიანად კი ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებამ, ამხ. გ. გ. გუმბარიძემ უნდა მოიფიქრონ მუდმივი კონტროლის სისტემა, რათა თითოეული პარტიული კომიტეტი ცენტრალური კომიტეტის შეუნელებელი ყურადღებისა და თვალთახედვის არეში იყოს.

გადასაწყვეტი პრობლემა ძალიან ბევრია, მაგრამ ყოველთვის არ იგრძნობა სათანადო სიმწვავე და განწყობა მათ გადაჭრაში. მაგალითად, ყველგან ვამჩნევეთ, რომ გარკვეულად შესუსტდა ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. აშკარაა, რომ ამხანაგები ჯეროვნად ვერ აფასებენ, თუ რა სოციალური მნიშვნელობა აქვს ამ პრობლემას რესპუბლიკისათვის. თავს იმით იმშვიდებენ, რომ მთვრალები ქუჩაში ნაკლებად გვხვდებიან. ამავე დროს, გახშირდა წარმოებაში სმითვრალის შედეგად მუშათა დაღუპვის ფაქტები. ასეთმა შემთხვევების რიცხვმა წლის პირველ ნახევარში თორმეტს მიაღწია. შარშანაც შეიმჩნეოდა ჩვენში ამ მაჩვენებლის ზრდა.

რამდენი ადამიანი იღუპება მთვრალი მძღოლების, ჩვენს გზებზე ელემენტარული დისციპლინის უქონლობის მიზეზით? ჩვენ ერთხელ გამოვიანგარიშეთ, რომ მათი რიცხვი ხუთწლედში უახლოვდება პატარა ქალაქის მოსახლეობის რიცხვს. და ეს ძირითადად ახალგაზრდები არიან.

კვლავ მწვავედ დგას ნარკომანიის პრობლემა. ამასთბაში ნარკოტიკების სპეკულანტები წელს 18 პროცენტით ნაკლებია გამოვლენილი, ვიდრე შარშან. სახელმწიფო სამსახურები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჯეროვნად არ არიან ინფორმირებული და კოორდინებული. ირღვევა სამედიცინო დაწესებულებებსა და საფეთაქლილში ნარკოტიკების შენახვის წესები.

ეს, რა მინდა ვთქვა ამასთან დაკავშირებით. გარდაქმნამ საგრძნობლად გააქტიურა ჩვენი საზოგადოებრიობა. დიდად ენერგიულად, და ემოციურად განიხილავენ ბევრ პრობლემას და გამოთქვამენ თავიანთ აზრს. სწორედ ეს აყალობებს კიდევ ადამიანთა ახლებურ აზროვნებას. მაგრამ ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კალაპოტით როდი წარიმართება ხოლმე საზოგადოებრივი ენერგია. ამის შედეგად ნამდვილად საჭიროოა პრობლემები, რომლებსაც ჩვენი ინტელიგენციის, მუშათა კლასის, სოფლის მშრომელთა გამახვილებული ყურადღება სჭირდება, სამწუხაროდ, მათი თვალთახედვის გარეთ რჩება. ახსოვს ვინმეს, რომ ამ საკითხებზე შეედგინოთ კოლექტიური წერილები ცენტრალური კომიტეტის სახელზე, შეეტანოთ კონკრეტული წინადადებანი? არა, სამწუხაროდ. ამაზე ამხანაგები ხშირად არც კი ფიქრობენ.

აი, აქ უნდა თქვან კიდეც თავიანთი სიტყვა იდეოლოგიურმა სამსახურებმა, პარტიულმა კომიტეტებმა, ახსნა-განმარტებითს მუშაობაში ჩააბან, დაინტერესონ, აღანთონ ყველაზე ავტორიტეტიანი და პატივდებული ადამიანები.

ბევრი დავობს განსყენებულ საგნებზე, რომლებშიც ისინი ხშირად საერთოდ არ არიან კომპეტენტურნი, მაგრამ თავს არ იწუხებენ შენიშნონ, ვთქვათ, ის, თუ რა პირობებშია ჩვენთან ზოგიერთი სკოლამდელი საბავშვო დაწესებულება და სკოლა, საბავშვო სახლი და ინტერნატი. მარტო რესპუბლიკაში პიონერული ბანაკების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადების ჩაშლის გამო ყოველწლიურად 10 ათასი მოსწავლის დასვენების შესაძლებლობა იკარგება. ჩვენ გვაქვს ფაქტები, როცა ორი წლის ნაცვლად ბანაკებს 5-10 წელიწადს აშენებენ. მაგრამ, ნუთუ ოფიციალური ორგანოების გარდა, ამისათვის პასუხს არავინ არ აგებს? განა ასე დავამყარეთ წესრიგს? რისთვის უნდა დაგხარჯოთ ფუჭად ჩვენი მოქალაქეობრივი პათოსი? არა ჯობია, ძალები ცოცხალ, მნიშვნელოვან საქმეს მოვახმაროთ?

პატიოსნებისა და წესიერების, სიმართლისა და სიკეთის საუკეთესო ნიშუშებით ახალგაზრდობის აღზრდა კი ჩვენი ყველაზე პასუხსაგები მოქალაქეობრივი მოვალეობა და ვალია. ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრი, რესპუბლიკის ყოველი მცხოვრები დღიდან დაბადებისა მოქალაქეობრივ მოწოფულობამდე უნდა გრძნობდეს სახელმწიფოს და ადამიანთა ზრუნვას, რათა შემდეგ მთლიანად აუნაზღაუროს მათ იგი. მხოლოდ მაშინ გახდება ახალგაზრდობა ჩვენი საუკეთესო ტრადიციების ჭეშმარიტი და ერთგული მემკვიდრე. ჩვენი მთავარი საკადრო რეზერვი.

ღირსეული, წიგნიერი, არაორდინალურად მოაზროვნე კადრების ძიება და დაწინაურება კი ახლანდელ ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალური პრობლემა ხდება. სწორედ პარტია, პარტიული ორგანიზაციები უნდა წარმოადგენდნენ მათს საიმედო სამეედლოს, ახალი მოთხოვნების სულისკვეთებით მათი აღზრდისა და ფორმირების სკოლას.

ერთი თვის შემდეგ დაიწყება სანგარიშო-საარჩევნო კამპანია. როგორც ცნობილია, იგი გაიმართება მხოლოდ მცირერიცხოვან პარტიულ ორგანიზაციებში, რომლებშიც 15 კომუნისტზე ნაკლებია. მაგრამ როდესაც ეს კომუნისტთა რიცხვის მიხედვით — ეს რესპუბლიკური პარტორგანიზაციის ნახევარზე მეტია. სწორედ ძირეული რგოლები ხდებიან ახალი სამეურნეო მექანიზმის საფუძველი, სწორედ ისინი განსაზღვრავენ ზნეობრივ-პოლიტიკურ ატმოსფეროს ჩვენს საზოგადოებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა მოითხოვა, რომ სანგარიშო-საარჩევნო კრებების ყურადღების ცენტრში იყოს გარდაქმნის მიმდინარეობის, ამ საყოველთაო-სახალხო საქმეში თითოეული კომუნისტის მონაწილეობის, თითოეული პარტიული ორგანიზაციის კონკრეტული წვლილის საკითხი. გარდაქმნა უნდა დაიწყოს ქვემოდან, შრომითი კოლექტივებიდან. სათანადო ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძველს ამისათვის ქმნის კანონი საწარმოს (გაერთიანების) შესახებ. ამ კანონის დებულებათა და მოთხოვნათა პრაქტიკული რეალიზაციის გათვალისწინებით უნდა ვაწარმოოთ კიდეც მოსამზადებელი მუშაობა მომავალი საანგარიშო-საარჩევნო კამპანიისათვის.

საბოლოოდ უნდა მოვიშოროთ თავიდან ეგრეთ წოდებული „ჯიბის მდივნები“, რომლებსაც უნარი არ შესწევთ დაიცვან პარტიული პოზიცია, წინააღმდეგნენ უწყებრივ და კუთხურ ინტერესებს, სხვისი მოიმედოობის გამოვლინებებს, მათ ნაცვლად უნდა დავწინაუროთ აქტიური, პრინციპული, გაბედული ადამიანები.

პარტიამ მტკიცედ მოჰკიდა ხელი საზოგადოების რეკონსტრუქციურ განახლებას. ივნისის პლენუმმა მოგვცა დამატებითი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი ბერკეტები, რათა წინ წავიწიოთ გარდაქმნა. თუ როგორ ვიყენებთ ამით, დამოკიდებულია თითოეული ჩვენგანის პირად პასუხისმგებლობაზე, პირად პოზიციაზე, პირად პატიოსნებასა და აქტიურობაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის პოლიტიკური პლატფორმა ყველაზე აქტიური, გადამწყვეტი მოქმედებაა სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის, ჩვენი საზოგადოების შემოქმედებითი მრავალფეროვნების გაფართოების, მასში ახალი ეკონომიკური და სულიერი პოტენციალის ნამდვილი განთავისუფლებისათვის. დღეს ვამტკიცებთ პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად პრაქტიკულ ღონისძიებათა გეგმას. ცენტრალური კომიტეტის თითოეულ წევრს, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრს ეკისრება მთელი პარტიული და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა მისი [illegible] ვის.

ზოგჯერ ძნელია მრავალი წლის ინერციის უკუგდება. მაგრამ უამისოდ შეუძლებელია აზროვნების განთავისუფლება და დემოკრატიზმის დამკვიდრება. დემოკრატიზმი ჩვენი პოზიციებისა და ჩვენი დამოკიდებულების ხამია. იმის შიში, ვაითუ შეცდომა მომავიდესო, — ხაზგასმით აღნიშნა პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა, — განსაკუთრებით დამლუპაველია: იგი ადუნებს ნებას, აკავებს საზოგადოების გარდაქმნისათვის მეცადინეობას. ყველაზე დიდი შეცდომა შეცდომის შიში.

აი, სწორედ ამიტომ პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო მუყაითად უნდა იმუშაონ შრომითს კოლექტივებში, მთლიანად საზოგადოებაში ისეთი ატმოსფეროს შექმნისათვის, ისეთი პოლიტიკური განწყობის ჩამოყალიბებისათვის, როცა ადამიანებს შეეძლებათ მთლიანად და სავსებით, დაინტერესებით გამოიყენონ თავიანთი ძალები, ცოდნა, ენერგია. ეს არის გარდაქმნის დაჩქარების მთავარი ბერკეტი. და იგი განსაკუთრებით ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ ახლა, ჩვენი ცხოვრების დიდი და სახელოვანი მოვლენის — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის მზადების პროცესში.

გადამწყვეტი პრაქტიკული მოქმედება მიიჩნია რესპუბლიკურ პარტიულ ორგანიზაციას რუსეთის, ლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, სკკპ XXVII ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებული რეალიზაციის მაგისტრალური გზად.



ჩარგალში, ვაჟას ფუძეზე

(დასასრული)

გულქან რაზიკაშვილმა უგულითადესი მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს ვაჟა-ფშაველას ესოდენ დიდი დაფასებისათვის.

ჩარგლის მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ.

— დღეს, თქვა მან, — მთელი საქართველო სიამაყით აღნიშნავს ვაჟა-ფშაველას დაბადების 125 წლისთავს. იგი სწორედ ის გამორჩეული, უკვდავი პიროვნებაა, რომელმაც უბადლო ნიჭით, სიტყვითა და საქმით ზიდა უდიდესი ეროვნული ტვირთი და ხელთუქმნელი, მარადიული ძეგლი დაუდგა საკუთარ თავსაც და მშობელ ხალხსაც. საბჭოთა სინამდვილემ ვაჟას პოეტური გენია ჭეშმარიტად დაეფასა და საკაცობრიო სულიერი კულტურის საგანძურში დაამკვიდრა. ვაჟა-ფშაველა თავისი შეგნებული ცხოვრების თითქმის მთელ მანძილზე უმაღლესი რანგის შემოქმედებასა და უანგარო საზოგადო მოღვაწეობას უთავსებდა მხვნელ-მთესველის მძიმე ფიზიკურ შრომას. ხალხის წიაღიდან ამოზრდილმა გენიოსმა ხალხისავე სამსახურში ჩააყენა თავისი მადლიანი კალამი, თაობებს უანდერძა მაღალი ზნეობის, ჭეშმარიტი ჰუმანიზმის გაკვეთილები. ეს გაკვეთილები დღესაც გრძელდება. გრძელდება პოეტის შემოქმედების განუწყვეტელი, და რაც მთავარია, ძალიერი კავშირი ჩვენს აწმყოსა და მომავალთან, ჩვენი დღევანდელი საზოგადოების საჭირბოროტო ზნეობრივ პრობლემებთან.

ახლა, როცა ასე საგანგაშოდ დაირღვა ეკოლოგიური ბალანსი მთელ პლანეტაზე, არ შეიძლება არ შეეგრძნოთ ვაჟა-ფშაველას ბუნებისმეტყველური სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა. ვაჟა ჭეშმარიტად ბუნების დიდი მგოსანია მისი მესიადუმლეა. მისი სამყაროს ესთეტიკური მოდელის ცენტრში ადამიანი დგას, რომლის კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს ყოველივე ამ ქვეყანაზე, თვით წარმტაცი ბუნებაც. ვაჟას იდეალია წმინდა, უკომპრომისო, პრინციპული, ამაღლებული ადამიანი. პოეტის ჰუმანიზმი ეთიკური, ზნეობრივი კატეგორიაა, რომელიც გულისხმობს ადამიანის მოვალეობის, ყოველივე იმისათვის პასუხისმგებლობის შეგნებას რაც მასში და მის გარშემო ხდება.

ვაჟა-ფშაველა თავად იყო დიდი მამულიშვილობის ჭეშმარიტი მაგალითი. სწორედ აქ, ჩარგალში, 1905 წლის რევოლუციის დღეებში ვაჟამ საკუთარი ხელით დაწერა ფშავ-ხევსურეთის რევოლუციური დეკლარაცია, იყო ამ კუთხეში „რევოლუციური მოძრაობის სულისჩამდგმელი და აქტიური მონაწილე.

დღია ვაჟას მემკვიდრეობის მნიშვნელობა ჩვენი თანამედროვეობისათვის, იმ გარდაქმნათა რეალიზაციისათვის, ჩვენი ხალხი რომ ახორციელებს დღევანდელ ეტაპზე. პოეტის შემოქმედება ის უტყუარი ორიენტირია, რომელსაც ძალუძს ადამიანი სამყაროს ურთულესი გზის გამკვლევ სიბრძნეს აზიაროს, შემოგვთავაზოს ადამიანური არსებობისა და საერთო ცხოვრების ჭეშმარიტი კანონი. მაღლიერი შთამომავლობა მუდამ ქედს მოიხრის იმის წინაშე, ვინც გვიანდერძა: „არ შეიძლება მოკვდეს ლამაზი არსი ჩვენი კაცობისა“.

მიტინგზე გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, რომელმაც თავისი სიტყვა ვაჟასადმი მიძღვნილი ახალი ლექსით დაამთავრა. სიტყვები წარმოთქვეს მწერალმა-აკადემიკოსმა გრიგოლ აბაშიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა გიორგი ჯიბლაძემ, ჟურნალ „მნათობის“ მთავარმა რედაქტორმა არჩილ სულაკაურმა, აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ალექსი ჯობუამ, ოსმა მწერალმა და მეცნიერმა ნაფი ჯუსოითმ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, აჭარის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ფრიდონ ხალვაშმა, სტუდენტმა ლელა დუდაურმა, სახალხო მთქმელმა მიხეილ ნაყეურმა, მოსწავლე ირმა იორამაშვილმა, ვაჟა-ფშაველას შვილიშვილმა ალექსი რაზიკაშვილმა, საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ნუგზარ ოდიშვილმა. პოემა მურმან ლებანიძემ საკუთარი ლექსით მიმართა დიდ წინაპარს.

სრულიად საქართველო მონაწილეობდა ამ სახალხო დღესასწაულში. თავიანთი ხელოვნება უჩვენეს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის მხატვრულმა კოლექტივებმა, ქართული ხელოვნების ოსტატებმა, ნორჩმა შემსრულებლებმა. იმპროვიზებული ცეკვნიდან გაისმოდა ვაჟა-ფშაველას ლექსები, ფშაური მელოდიები, ასე რომ უყვარდა დიდ პოეტს. მზის სხივებით გაჩახჩახებულ ფშავის ისლებში ბალიშებზე დიდხანს გრძელდებოდა ზეიმი სახელოვანი შვილის პატივსაცემად.

(საქინფორმი).

• • •

სურათზე: ვაჟაობა ჩარგალში.

ო. თურქიას ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

27 ივლისი ● საკლესიო იუწყება

ეკლესიაში

ფაქტები • მოვლენები

◆ ინგლისი

ტეტჩერი საბჭოთა კავშირის ინიციატივებზე შესახებ

ლონდონი. ჩვენ სულით და გულით მივესალმებით საბჭოთა კავშირის ახალ წინადადებებს „გლობალური ორმაგი ნულის“ პრინციპის საფუძველზე საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტებისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ლიკვიდაციის დარგში, განაცხადა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა ბი-ბი-სის საინფორმაციო პროგრამისათვის მიცემულ ინტერვიუში. ბრიტანეთის მთავრობის მეთაურმა გამოთქვა ოპტიმიზმი საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმისი ხელშეკრულების მაღალ დადების გამო, რომლის მიღწევამდე, მისი თქმით, ზოგიერთი დეტალის დაზუსტებაღა დარჩა. მაგრამ, როგორც მ. ტეტჩერის გამონათქვამები მოწმობს, იგი ასეთ „დეტალებს“ მიაკუთვნებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „პერშინგ-1ა“ ტიპის რაკეტების განლაგების პრობლემასაც, რომელთა შენარჩუნებას დასავლეთ გერმანიის მიწა-წყალზე ყველანაირად ლამობს ამერიკის მხარე.

ზოგადად შეაფასა რა საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის ურთიერთობა, პრემიერ-მინისტრმა, კერძოდ, გამოთქვა აზრი, რომ იგი ემყარება „ურთიერთპატივისცემის პრინციპების საფუძველს“. ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემება, რომ ჩვენ პატივს ვცემთ ერთმანეთის პოზიციებსა და შეხედულებებს, ვუდარებთ ამ შეხედულებებს და გამოგვაქვს დასკვნა, რომ, სერიოზულ უთანხმოებათა მიუხედავად, არსებობს გარკვეული პოლიტიკური მიზნები, რომელთა განხორციელება შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და ბრიტანეთის ხალხების, აგრეთვე მსოფლიოს ყველა ხალხის ინტერესებს, განაცხადა მ. ტეტჩერმა.

◆ ინდოეთი

ახალგა პრეზიდენტმა ფიცი დადო

დელი. ინდოეთის ახალი პრეზიდენტის რამასვამი ვენკატარამანის ფიცის დადების ოფიციალური ცერემონია გაიმართა 25 ივლისს ინდოეთის დედაქალაქში. პარლამენტის ცენტრალურ დარბაზში შეიკრიბნენ მთავრობის წევრები რესპუბლიკის პრეზიერ-მინისტრის რაჯივ განდის მეთაურობით, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატები მხედართმთავრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სხვა სასატიო სტუმრები. შუადღისას აქ მოვიდნენ ინდოეთის ყოფილი პრეზიდენტი ზაილ სინგჰი და მისი მეგვიდრე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანი, თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე რ. ვენკატარამანი.

რესპუბლიკის ისტორიაში მერვე პრეზიდენტის ფიცი მიიღო ინდოეთის უზენაესი სასამართლოს მთავარმა მოსამართლემ რ. ს. პატჰაკმა. სახელმწიფოს ახალი მეთაურის პატივსაცემად მიეცა საარტილერიო სალუტის 21 ზალპი.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა რ. ვენკატარამანმა.

ჰ. მისის ღია წერილი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს

ბონი. ახალი სამშვიდობო ინიციატივა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა გამოიჩინა, დამაჯერებლად მოწმობს, რომ სსრ კავშირი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა რაც შეიძლება მალე დაიდოს ხელშეკრულება საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ. ეს 25 ივლისს განაცხადა გერმანელთა კომპარტიის თავმჯდომარემ ჰერბერტ მისმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერისათვის გაგზავნილ ღია წერილში.

საბჭოთა წინადადებას მიესალმა მთელი პლანეტა, მათ შორის ბონის მთავრობა, წერს ჰ. მისი, მაგრამ მარტო ლაპარაკი საქმეს ვერ შველის. საგნების ლოგიკით ოფიციალურმა ბონმა ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, უარი უნდა თქვას „პერშინგ-1ა“ რაკეტებისადმი ერთგულებაზე და ოლვაწოს, რათა ხელშეკრულებაში შეეიდეს ამერიკის ბირთვული ქობინები, რომლებიც მათ განეკუთვნება. ამრიგად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საშუალო სიშორის რაკეტების გლობალური ლიკვიდაციის შესახებ მოლაპარაკების წარმატებაში.

ორი სისტემის შესაყარზე განლაგებული და ბირთვული იარაღით სავსე ჩვენი ქვეყანა ყველაზე მეტად არის დაინტერესებული მოისპოს საშუალო სიშორის რაკეტები, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ბირთვული განიარაღების გზაზე. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას არაგვთარი უფლება არა აქვს იყოს განიარაღების მუხრუჭი. პირიქით, მან უნდა გამოიყენოს მთელი თავისი პოლიტიკური გავლენა მოლაპარაკების სწრაფი წარმატების ინტერესებისათვის.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომუნისტები, აღნიშნულია დოკუმენტში, მოითხოვენ რაც შეიძლება მალე გაიმართოს ბონის კაბინეტის საგანგებო სხდომა და მიიღონ გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მთავრობა უარს ამბობს 72 „პერშინგ-1ა“ რაკეტაზე.

ქართული ანსამბლის გამოსვლა ურუგვაიში

მონტევიდეო. „პენიაროლის“ — ურუგვაის დედაქალაქის ერთერთ უდიდეს სპორტულ-საკონცერტო დარბაზში დაიწყო საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის გასტროლები. ათასობით მაყურებელი გულთბილად შეხვდა საბჭოთა მსახიობებს. მქუხარე ტაშით აღნიშნა ურუგვაელმა მაყურებელმა ტემპერამენტიანი ხალხური ცეკვების შემსრულებლთა დიდი ოსტატობა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მასობრივმა ცეკვამ „ფარიკაობამ“.

ქართული ანსამბლი მონტევიდეოში ჩამოვიდა ლათინური ამერიკის ათ ქვეყანაში დიდი საგასტროლო მოგზაურობის დროს.

ჭადრაკის დაფებთან

სირაკუზი (უნგრეთი), ტუზლაში და სმედერევსკა-პალანკაში (იუგოსლავია) გრძელდება მსოფლიო პირველობის საზონთშორისო ტურნირები.

სმედერევსკა-პალანკაში, სადაც ქალები ასპარეზობენ, მერვე და მეცხრე ტურის პარტიებში ნონა გაფრინდაშვილმა ასეთი შედეგები მოიპოვა: იგი ჯერ დაუზავდა ელიშკა კლმოვას (ჩეხოსლოვაკია), შემდეგ მოუგო შუზედრა გორდანა მარკოვიჩს (იუგოსლავია). 9 ტურის შემდეგ 8 ქულით ლიდერობს მარტა ლიტინსკაია. მომდევნო ადგილებზე არიან ალისა მარიჩი (იუგოსლავია) — 7 ქულა, ნონა გაფრინდაშვილი — 6, ზოია ლელაშვილი და ირინე ლევიტინა — 5,5-5,5 ქულა.

ტუზლაშიც ქალები თამაშობენ. აქ 8 ტურის შემდეგ კვლავ ერთპიროვნული ლიდერია ნანა იოსელიანი. მან მერვე ტურში დაამარცხა ლუ შილანი (ჩინეთი) და ახლა 7 ქულა აქვს. 6-6 ქულა აქვთ ქეთევან არახამიას, გულნარა სახატოვას და ალენა ბრუსტმანს (პოლონეთი). ამ უკანასკნელს 1 პარტია დასამთავრებელი აქვს.

სირაკუზი მიმდინარე ვაჟთა საზონთშორისო შეჯიბრების 7 ტურის შემდეგ ალექსანდრე ბელიავსკის, იოჰან ჰიარტარსონს (ისლანდია), ჯონ ნანს (დიდი ბრიტანეთი) და ლუბომირ ლუბოევიჩს (იუგოსლავია) 5-5 ქულა აქვთ. ბელიავსკის ამას გარდა 1 გამოტოვებული პარტია აქვს სათამაშო.

ფეხბურთის ამბები

ფეხბურთი. განახლდა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. გთავაზობთ მეთვრამეტე ტურის ყველა მატჩის შედეგებს: „ზენიტი“-თბილისის „დინამო“ — 1:1, „ყაირათი“-„გურია“ — 1:0, „ყაზგორისი“-„არარატი“ — 2:0, მინსკის „დინამო“-„ნეფთჩი“ — 1:3. „დნეპრი“-„მეტალისტი“ — 2:0, „შახტიორი“-მოსკოვის „ტორპედო“ — 1:2 ცსკა-კიევის „დინამო“ — 0:2, მოსკოვის „დინამო“-„სპარტაკი“ — 1:1. დღეისათვის გუნდები გათამაშების ცხრილში ასეთი თანმიმდევრობით არიან განლაგებული:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	9	8	2	31-18	26
„დნეპრი“	9	5	4	23-11	24
„ტორპედო“	7	9	3	19-12	23
„ყაზგორისი“	9	4	5	26-18	22
„არარატი“	9	1	8	20-25	19
„მეტალისტი“	7	5	6	15-16	19
„შახტიორი“	6	7	5	16-16	19
„დინამო“ კ	7	4	4	23-11	18
„დინამო“ მ	5	8	6	14-17	18
„ნეფთჩი“	6	5	8	23-20	17
„დინამო“ მნ	6	5	7	17-17	17
„ყაირათი“	6	3	9	13-24	15
„დინამო“ თბ	5	5	8	17-22	15
ცსკა	5	5	9	17-24	15
„ზენიტი“	3	7	9	14-27	13
„გურია“	3	5	9	9-18	11

კანადის ქალაქ ტორონტოში გაიმართა 16 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი სსრ კავშირისა და ხიგერიის ნაკრებ გუნდებს შორის. ბენალტების სერიით გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 3:1 (ძირითადი დროსამატებითი დრო — 1:1). მესამე ადგილზე გამოვიდა კოტ დიუვარის გუნდი, რომელმაც დამარცხა იტალიის ნაკრები — 2:1.

ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ, ᲛᲔᲪᲜᲔ ᲛᲝᲕᲔᲚᲝᲓᲘᲗ

ᲫᲘᲣᲓᲝᲛᲘᲡᲢᲗᲐ თბილისის საერთაშორისო შეჯიბრების ბოლოსწინა დღეს გამართული შეხვედრებიდან, უწინარესად, აღსანიშნავია ფინალური ორთაბრძოლა 71 კგ-მდე წონითს კატეგორიაში თუნდაც იმისათვის, რომ აქ პირველობისათვის იბრძოდა ჩვენი თანამემამულე, გორელი გია თენაძე. გადამწყვეტ შეხვედრაში მისი მეტოქე იყო საფრანგეთისა და ევროპის 1986 წლის ჩემპიონი მარკ ალექსანდერი. ეს შეხვედრა ფრანგმა მოიგო და თენაძეს ვერცხლის მედალი ხვდა წილად. შეგნიშნავთ იმასაც, რომ ფრანგმა ძიუდოისტმა მეტოქეზე გაცილებით უკეთ იჭიდავა, გონებამახვილურად მოქმედებდა, კარგად იყენებდა ფეხით ჭიდაობის ფანდებს და ცხადია, ღირსეულადაც გაიმარჯვა. თუმცა ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ თენაძე ამჯერად საკმაოდ მძიმე ტრავმით ჭიდაობდა. ამ წონითს კატეგორიაში თბილისელი თამაზ ნამგალაური ბრონჯოოს მედლით დაჯილდოვდა. მან ძირითადი შეჯიბრებულ შემდეგ სანუგეშო ტ